

# რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტი

## გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა

### შემოკლებები და ტერმინთა განმარტება:

„სათანადო E&S მოთხოვნები“ ნიშნავს ქვეყნის კანონმდებლობას, საქართველოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო კონვენციებს/ შეთანხმებებს და EBRD-ს 2019 წლის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას

წინასწარი სამუშაოები/საქმიანობა: პროექტის ყველა საქმიანობა, რომელიც დაფინანსების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებამდე განხორციელდება

EBRD: ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი

E&S: გარემოსდაცვითი & სოციალური

ბსგზმ: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ESMS: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სისტემა

CESMP: მშენებლობის გარემოსდაცვითი და სოციალურ მართვის გეგმა

GIS: გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა)

კრედიტორების მოთხოვნები: EBRD-ის 2019 წ. სამოქმედო სტანდარტები.

PR: სამოქმედო სტანდარტები (EBRD-ის)

RAP: განსახლების სამოქმედო გეგმა

SEP: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

‘წელი 1’, ‘წელი 2’ და ა.შ.: კალენდარული წელი (1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით), დაწყებული EBRD-სთან დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერიდან (წელი 0).

პროექტის განხორციელების ორგანიზაციული სქემა:

განხორციელების ორგანიზაციული სქემა მოყვანილია, რათა ESAP-ის მკითხველს ინფორმაციის აღქმა გაუმარტივდეს:

- „ფერი“ წარმოდგენს პროექტის სპონსორს
- პროექტის მფლობელი და ოპერატორი იქნება „ფერი“, რასაც სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი კომპანიის სს „ვინდ ფაუერი“-ს მეშვეობით განახორციელებს.
- სამშენებლო სამუშაოებს განახორციელებს უშუალოდ „ფერი“, როგორც სამშენებლო კომპანია (ESAP-ში იწოდება "ფერი ქონსტრაქშენ"-ად). ქარის ტურბინების მოწოდებას და მოწყობას, დასრულებული პროექტის სახით, ცალკე კონტრაქტორი განახორციელებს.

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
1.1	<p><b>გარემოსდაცვითი და სოციალური (E&amp;S) მენეჯერი</b>  E&amp;S მენეჯერის დანიშვნა წინასწარი სამუშაოების, ძირითადი სამშენებლო და ექსპლუატაციის ფაზებისათვის, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქვეყნის კანონმდებლობასა და კრედიტორების მოთხოვნებთან პროექტის შესაბამისობაზე, ასევე ESAP-ის ქმედებების განხორციელების ორგანიზებაზე. E&amp;S მენეჯერი ანგარიშვალდებული იქნება უშუალოდ სს „ვინდ ფაუერი“-ს პროექტის მენეჯერის წინაშე.</p>	E&S მოთხოვნების შესრულება	PR1	სს „ვინდ ფაუერი“	<p>1. ვიდრე EBRD-ს საბჭო დაამტკიცებს</p> <p>2. წინასწარი საქმიანობა, მშენებლობა და ექსპლუატაცია</p>	<p>1. პასუხისმგებელი პირი დანიშნულია. პასუხისმგებელი პირის სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია მიეწოდა EBRD-ს.</p> <p>2. თანამდებობა შენარჩუნებულია</p>
1.2	<p><b>E&amp;S მართვა: წინასწარი საქმიანობა</b>  წინასწარი სამუშაოების CESMP-ის ("EA-CESMP") მომზადება, მათ შორის (i) წინასწარი სამუშაოებისა და სახელშეკრულებო პირობების აღწერა; (ii) წინასწარი საქმიანობის პერიოდთან დაკავშირებული ყველა სახის გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკების რეესტრი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები რათა შესრულდეს მსესხებელთა მოთხოვნები შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიის/თანმიმდევრობის მიხედვით; და (iii) წინასწარ სამუშაოებში ჩართული კონტრაქტორების და ქვეკონტრაქტორების ჯაჭვში EA-CESMP-ის ეფექტიანად შესრულებისა და მისი განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი. CESMP შესაბამისობაში უნდა იყოს ბსგზმ-ის დოკუმენტაციის გასაჯაროებულ პაკეტთან. EA-CESMP განხორციელების თაობაზე კვარტალური ანგარიშგება კრედიტორების წინაშე.</p>	პრევენციული ქმედებები, რომლებიც PR-ებთან და PS-ებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.	PR1	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი, საბოლოოდ კონსულტანტის დახმარებით	პროექტის ტერიტორიაზე მობილიზაციამდე, ზემოქმედებამდე და მშენებლობის ნებართვის მოპოვებამდე	EA-CESMP-ი შემუშავებულია, ხორციელდება და მისი შესრულების მონიტორინგი ხდება. წინასწარი საქმიანობა შესაბამისობაშია PR-ებთან და PS-ებთან. კრედიტორებს წარედგინებათ კვარტალური მონიტორინგის ანგარიშები.

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
1.3	<p><b>ESMS: მშენებლობის პერიოდი</b>  სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ESMS-ის შემუშავება E&amp;S პოლიტიკაზე დაყრდნობით, რომელიც შესაბამისობაშია EBRD-ს E&amp;S პოლიტიკასთან და ხელმოწერილია სპონსორის ზედა მმართველობის რგოლის მიერ. ESMS უნდა შეიცავდეს დიზაინის ცვლილების მართვის და შეუსაბამობების მართვის პროცედურებს, ასევე E&amp;S მონიტორინგის მექანიზმს.</p>	E&S მართვის სისტემა	<p>PR1  საუკეთესო საერთაშორისო  ო  გამოცდილებ  ა</p>	<p>სს „ვინდ ფაუერი“-ს E&amp;S მენეჯერი, დროთა განმავლობაში კონსულტანტის დახმარებით</p>	<p>ESMS მომზადდა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.   ESMS-ი ხორციელდება წინასწარი საქმიანობის, მშენებლობის და ექსპლუატაციაში შეყვანის დროს.</p>	<p>ESMS შემოღებულია და ხორციელდება E&amp;S მენეჯერის მიერ</p>
1.4	<p><b>ESMS: ექსპლუატაციის პერიოდი</b>  გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის შემუშავება (ISO9001 –14001 სტანდარტების შესაბამისად) ექსპლუატაციის პერიოდისათვის და მისი დანერგვა. ESMS-ი უნდა შეიცავდეს 1.3 ქმედებაში აღნიშნულ E&amp;S პოლიტიკას, მოსახლეობისა და მუშახელის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (H&amp;S) დაცვის პროცედურებს, ESAP-ის განხორციელებისა და ცვლილებების ან შეუსაბამობების მართვის პროცედურებს, ასევე E&amp;S მონიტორინგის მექანიზმს.</p>	E&S მართვის სისტემა	<p>PR1  საუკეთესო საერთაშორისო  ო  გამოცდილებ  ა</p>	<p>სს „ვინდ ფაუერი“-ს E&amp;S მენეჯერი, დროთა განმავლობაში კონსულტანტის დახმარებით</p>	<p>ESMS მომზადებულია და E&amp;S სტრუქტურა დაარსებულია: ექსპლუატაციაში გაშვებამდე. განხორციელება: ექსპლუატაციის პროცესში</p>	<p>ESMS შემუშავებული და განხორციელებულია.</p>

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
1.5	<p><b>კრებსითი ESMMP-ს მომზადება და განხორციელება</b> სანდო და გამოცდილი კონსულტანტის მობილიზება, რომელიც, E&amp;S ბსგზშ-ის EMP-ს, დეტალური დიზაინის, ნებართვის გამცემი ორგანოს მოთხოვნებისა და ESAP-ის საფუძველზე, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდებისათვის მოამზადებს კრებსით E&amp;S მართვისა და მონიტორინგის გეგმას (ESMMP). ESMMP-ში შეტანილი უნდა იქნას ზოგადი ხასიათის და დეტალური რუკები, სადაც ნაჩვენებია იქნება პროექტისათვის საჭირო ყველა ტერიტორია, მათ შორის: გზების გაფართოებისათვის, პლატფორმების, ტურბინების, ქვესადგურების, გადამცემი ხაზისა და ა.შ. განსათავსებლად და გასხვისების ზოლისათვის.</p> <p>ESMMP-ში ცალკე თავად უნდა იყოს წარმოდგენილი „E&amp;S სპეციფიკაციები კონტრაქტორებისთვის“, სადაც, პროექტის E&amp;S დოკუმენტაციის, მათ შორის ESAP-ის შესაბამისად, განსაზღვრული იქნება კონტრაქტორის ვალდებულებები წინასწარი საქმიანობის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებზე. „E&amp;S სპეციფიკაციები კონტრაქტორებისთვის“ შეტანილი უნდა იქნას კონტრაქტორის სახელშეკრულებო ვალდებულებებში. მათი ეფექტურად განხორციელების ორგანიზება/ მონიტორინგი</p>	ESMMP-ის განხორციელება	საქართველო ს კანონმდებლობა PR1	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი + სს „ვინდ ფაუერი“-ის მხრიდან კონტრაქტორების ხელშეკრულებების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი, E&S მენეჯერის დახმარებით	1. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. 2. კონტრაქტორების მობილიზაციამდე 3. მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს	1. კრებსითი ESMMP მომზადებულია, დამტკიცებულია EBRD-ის მიერ და განხორციელებისათვის მზადაა 2. „E&S სპეციფიკაციები კონტრაქტორებისთვის“ შეტანილია კონტრაქტორების ხელშეკრულებებში. 3. ESMMP-ს განხორციელება და მისი ეფექტიანად შესრულების შესახებ ანგარიშგება EBRD-სთან
1.6	<p><b>მშენებლობის პერიოდის E&amp;S მაჩვენებლები</b> 1.5 ქმედების გარდა, კონტრაქტორისთვის სავალდებულო თითოეულ დოკუმენტში შეტანილი უნდა იქნას შემდეგი ზოგადი ხასიათის ვალდებულებები: (i) EBRD-ის PR-ებთან შესაბამისობა, (ii) კრედიტორების მიერ EBRD-ის PR-ებთან შესაბამისობის მიზნით მოთხოვნილი მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება, და (iii) ამ მოთხოვნების გავრცელება კონტრაქტორის ქვეკონტრაქტორების ჯაჭვზე.</p>	E&S მოთხოვნების შესრულება	საქართველო ს კანონმდებლობა PR1	სს „ვინდ ფაუერი“-ს მხრიდან კონტრაქტორების ხელშეკრულებების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი	კონტრაქტორებთან ხელშეკრულებების მოწერამდე.	კონტრაქტორის ვალდებულებები, რომელსაც EA-CESMP და ESMMP განსაზღვრავს, შესრულებულია. კრედიტორების მიერ მოთხოვნილი მაკორექტირებელი ქმედებები გატარებულია.

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
1.7	<p><b>„ფერი ქონსტრაქშენ“-ის HSEMP და მართვის სისტემა</b></p> <p>„ფერი ქონსტრაქშენ“-მა უნდა მოამზადოს, EBRD-ს დასამტკიცებლად წარუდგინოს და განახორციელოს „ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა“ (HSEMP), რომელიც მოიცავს PR2-ში, PR3-ში და PR4-ში განსაზღვრულ E&amp;S რისკებს, დაკავშირებულს „ფერი ქონსტრაქშენ“-ის უშუალო კონტროლს დაქვემდებარებულ სამშენებლო და ექსპლუატაციაში გაშვების საქმიანობასთან. HSEMP-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციული სტრუქტურა აღწერილი უნდა იყოს ESMS-ში (ქმედება 1.3).</p>	სათანადო მოთხოვნებთან შესაბამისობა	საქართველო ს კანონმდებლობა PR1	E&S მენეჯერი, დროთა განმავლობაში კონსულტანტის დახმარებით	მშენებლობის პერიოდში	HSEMP მომზადებულია და განხორციელდა „ფერი“-ს მიერ, ეს დოკუმენტი შეთანხმებულია EBRD-ს მიერ
1.8	<p><b>კონტრაქტორების HSEMP და მართვის სისტემა</b></p> <p>ხელშეკრულების საფუძველზე, თითოეულ კონტრაქტორს უნდა მოეთხოვებოდეს შემდეგიდან ერთ-ერთი, რომელიც უფრო მიზანშეწონილი იქნება: (i) „ფერი ქონსტრაქშენ“-ის HSEMP-ის შესრულება (ეხება მხოლოდ მცირე და არასპეციალიზებულ კონტრაქტორებს), ან (ii) საკუთარი „ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის“ (HSEMP) მომზადება, „ფერი ქონსტრაქშენ“-ისათვის განსახილველად წარდგენა და განხორციელება, რომელიც უნდა მოიცავდეს PR2-ში, PR3-ში და PR4-ში განსაზღვრულ E&amp;S რისკებს, დაკავშირებულს კონტრაქტორის უშუალო კონტროლს დაქვემდებარებულ სამშენებლო და ექსპლუატაციაში გაშვების საქმიანობასთან. თითოეულ კონტრაქტორს ხელშეკრულებით უნდა მოეთხოვებოდეს გააჩნდეს მართვის სისტემა, რათა უზრუნველყოფილი იქნას HSEMP-ის ეფექტიანად განხორციელება.</p>	სათანადო მოთხოვნებთან შესაბამისობა	საქართველო ს კანონმდებლობა PR1	სს „ვინდ ფაუერი“	მშენებლობის და მოვლა-შენახვისპერიოდში / სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის	კონტრაქტორებმა შეიმუშავეს და განახორციელეს HSEMP, ხოლო „ფერი“-ს E&S მენეჯერმა დაამტკიცა ეს დოკუმენტი და მისი შესრულების მონიტორინგი განახორციელა
1.9	<p><b>კონტრაქტორების E&amp;S ვალდებულებები</b></p> <p>თითოეულ კონტრაქტორს სახელშეკრულებო პირობებით უნდა დაევალოს E&amp;S ოფიცრის დანიშვნა, რომლის პასუხისმგებლობაში უნდა შედიოდეს იმ E&amp;S ქმედებების განხორციელების ორგანიზება, რომლებიც კონტრაქტორის HSEMP-ით (ქმედება 1.8) კონტრაქტორის პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება (ქმედება 1.5) და კონტრაქტორის საქმიანობის კრედიტორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (ქმედება 1.6).</p>	სამშენებლო სამუშაოების შესაბამისობა მოთხოვნებთან; ESMMMP-ის იმ ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელება, რომლებიც კონტრაქტორების ვალდებულებას განეკუთვნება.	საქართველო ს კანონმდებლობა PR1	თითოეული კონტრაქტორი, სს „ვინდ ფაუერი“-ს მოთხოვნით	პროექტის ტერიტორიაზე საქმიანობის/მშენებლობის დაწყებამდე.	E&S ოფიცერი დანიშნულია და მუშაობს E&S მენეჯერთან უშუალო თანამშრომლობით, როგორც ამას პროექტის ESMS ითვალისწინებს.

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
1.10	<p><b>რეგულარული ანგარიშგება კრედიტორების წინაშე</b> კრედიტორებისა და თავდებისათვის E&amp;S მონიტორინგის ანგარიშები. ამ მოთხოვნის შესასრულებლად შეიძლება EBRD-ის სტანდარტული E&amp;S ანგარიშგების შაბლონის გამოყენება და ადაპტირება.</p>	კრედიტორების რეგულარული მონიტორინგის პროცესი	PR1	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	მშენებლობის პერიოდში ყოველ ექვს თვეში ერთხელ, ხოლო ექსპლუატაციის დროს წელიწადში ერთხელ	ანგარიშები მომზადებულია და კრედიტორებისთვის მისაღება
1.11	<p><b>ქვევის კოდექსი</b> „ფერი ქონსტრაქშენ“-ის მუშახელისათვის ქვევის კოდექსის განსაზღვრა (და ყველა კონტრაქტორისაგან იმავეს მოთხოვნა თავიანთ მუშახელთან მიმართებაში), ასევე საორიენტაციო ტრენინგების ჩატარება ადგილობრივი ადათ-წესებისა და მიუღებელი ქვევის შესახებ, მათ შორის ცნობიერების ამაღლება სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე და ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაზე მოწინავე დარგობრივი პრაქტიკის (GIP) შესაბამისად, ამასთან ამ ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს. საქართველოსთვის კულტურულად მისაღები ფორმით.</p>	განზრახული ან უნებლიე არასათანადო ქვევით გამოწვეული პრობლემების ან კონფლიქტების პრევენცია	PR1	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	ქვევის კოდექსი და საორიენტაციო ტრენინგის მასალა მზადაა პირველ ტრანშამდე. ყველა ახალი მუშახელის ტრენინგი და საორიენტაციო ინსტრუქტაჟი მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში.	ქვევის კოდექსი და საორიენტაციო ინსტრუქტაჟის მასალა მომზადებულია და საჭიროებისამებრ განახლდება ხოლმე. „ფერი“-ს ან კონტრაქტორების მიერ დაქირავებული ყველა პირის ტრენინგი და საორიენტაციო ინსტრუქტაჟი.
1.12	<p><b>ქარის ელექტროსადგურის განთავსების სქემის განსაზღვრის პროცედურა</b> EBRD-ისთვის წერილობითი პროცედურის მიწოდება, სადაც განმარტებულია, ქარის სადგურის საბოლოო სქემა როგორ განისაზღვრება და რომ ამ პროცესში დაცული იქნება: (i) EBRD-ს და IFC-ის ზოგადი EHS მითითებები და EHS მითითებები ქარის სადგურებისათვის (კერძოდ, პოტენციური ზემოქმედების წყაროების თაობაზე, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს პროექტის განთავსების სქემაზე: ფრინველებზე და ღამურებზე ზემოქმედებასთან, ხმაურთან, ციმციმის ეფექტთან, კულტურული მემკვიდრეობის უბნებთან და ვიზუალურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული მოთხოვნები); ასევე, (ii) აღებული იქნება ვალდებულება, რომ პროექტი მიწაზე ან საარსებო საშუალებებზე იძულებით ზემოქმედებას არ იქონიებს და რომ ყველა შემთხვევაში (100%) მოლაპარაკებები წინასწარ და მშვიდობიანად გაიმართება.</p>	პროექტის განსაზღვრა და ოპტიმიზაცია	PR1	სს „ვინდ ფაუერი“-ის პროექტის მენეჯერი, ტექნიკურ და E&S გუნდებთან თანამშრომლობით	<b>ვიდრე EBRD-ს საბჭო დაამტკიცებს</b>	საიმედო პროცედურა და EBRD-ს თანხმობა

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
1.13	<p><b>ტერიტორიაზე შესვლის პროცედურა</b> ახალ სამუშაო უბნებზე შესვლამდე ტერიტორიაზე შესვლის პროცედურის მომზადება, მის შესახებ ყველა კონტრაქტორის ინფორმირება და მისი შესრულების უზრუნველყოფა სახელშეკრულებო პირობებით. პროცედურა უნდა მოიცავდეს შემდეგი ტერიტორიების დემარკაციას (ადგილზე, თვალშისაცემად): (i) გარემოს/ კულტურული მემკვიდრეობის სენსიტიური უბნების, სადაც შესვლა დაუშვებელია; (ii) პროექტის მიერ შექმნილი/ იჯარით აღებული ტერიტორიების. მუშახელს გარკვევით უნდა აეკრძალოს იმ ტერიტორიებზე შესვლა, რომლებიც დაცულია ან შექმნილი/ იჯარით აღებული არ არის.</p>	<p>წინდაუხედავი მიწათსარგებლობის გამო ბუნებრივი და სოციალური გარემოსთვის მიყენებული ზიანის პრევენცია.</p>	PR1	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი და კონტრაქტორის E&S ოფიცერი	პროცედურა მზადაა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.	პროცედურა განხორციელებულია. ნებადართული ტერიტორიების გარეთ სამუშაო არ განხორციელებულა.
1.14	<p><b>E&amp;S რისკების მართვა მიწოდების მარშრუტზე</b> ქარის ტურბინების მომწოდებელს უნდა მოეთხოვოს „მიწოდების მარშრუტის მართვის გეგმა“, რომლის მიზანი უნდა იყოს ქარის ტურბინების მიწოდება EBRD-ის PR-ებისა და ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. გეგმით მოცული უნდა იყოს შავი ზღვის პორტიდან ქეს-ის ტერიტორიაზე დასაწყობების უბნებამდე მარშრუტი. გეგმა უნდა ითვალისწინებდეს შრომისა და მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხებს, ასევე სატრანსპორტო ნაკადებზე და მოსახლეობაზე ზემოქმედების შემცირებას. გეგმის თაობაზე კონსულტაცია გაიმართება საგზაო მოძრაობის მარეგულირებელ სათანადო უწყებებთან და მათთან კოორდინაციით განხორციელდება. გეგმა უნდა განიხილოს და დამტკიცდეს სს „ვინდ ფაუერი“-მა.</p>	E&S მოთხოვნების გამოყენება მიწოდების მარშრუტისათვის	საქართველო ს კანონმდებლობა PR1	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი, სს „ვინდ ფაუერი“-ს მხრიდან კონტრაქტორების ხელშეკრულებების მომზადებაზე პასუხისმგებელ პირთან კოორდინირებულად	გეგმა მომზადდა, ადგილობრივ უწყებებთან შეთანხმდა და „ფერი“-ს მიერ დამტკიცდა შავი ზღვის პორტიდან მიწოდების დაწყებამდე.	მიწოდების მარშრუტი იმართება ადგილობრივი კანონმდებლობისა და კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად. ავარიების რისკის და მოსახლეობის შეწუხების თავიდან აცილება/ მინიმუმამდე შემცირება.
1.15	<p><b>კრედიტორების E&amp;S მრჩეველი (LESA)</b> უნდა შეირჩეს სანდო, საერთაშორისო გამოცდილების მქონი კონსულტანტი, რომელიც განახორციელებს (i) ESAP-ის ეფექტიანად შესრულების მონიტორინგს და (ii) სათანადო E&amp;S მოთხოვნებთან პროექტის შესაბამისობის მონიტორინგს. სს „ვინდ ფაუერი“-ის მიერ E&amp;S მრჩეველის შერჩევაზე საჭიროა კრედიტორის თანხმობა.</p>	E&S ვალდებულებების ეფექტიანად განხორციელება	საქართველო ს კანონმდებლობა PR1	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	<p><b>1.სასესხო ხელშეკრულების დადებამდე</b></p> <p>2. მსესხებლის მიერ სესხის გაცემისთვის ყველა წინაპირობის დაკმაყოფილების შემდეგ ერთი კვირის თავზე</p>	<p>1. ტექნიკური დავალება დამტკიცებულია და კონსულტანტი შერჩეულია</p> <p>2. კონსულტანტი აყვანილია</p>

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
2.1	<p><b>საკადრო პოლიტიკა და პროცედურები</b></p> <p>საკადრო პოლიტიკის შემუშავება კრედიტორის PR2-ის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით და მუშახელის ინფორმირება მის შესახებ.</p> <p>საკადრო პოლიტიკა უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს და შესაბამისობაში უნდა იყოს მათთან დაკავშირებულ სათანადო მოთხოვნებთან: (i) შრომითი ურთიერთობები; (ii) დასაქმებულთა უფლებები და ვალდებულებები; (iii) შრომის ანაზღაურება, შეღავათები და სამუშაო პირობები; (iv) დისკრიმინაციაზე უარის თქმა და თანაბარი შესაძლებლობები, გენდერული ძალადობა და შევიწროება; (v) ბავშვთა შრომისა და იძულებითი შრომის პრევენცია; (vi) პროფკავშირებში გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკების უფლება; (vii) მუშახელის განთავსება. იგი მუშახელისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერ დროს, მათ ადგილობრივ ენაზე, მუშახელისთვის განკუთვნილ გასაჩივრების მექანიზმთან ერთად.</p> <p>საკადრო პოლიტიკა უნდა გადაეცეს კონტრაქტორებს, რომელთაც ხელშეკრულებით უნდა დაეკისროთ, რომ ეს პოლიტიკა შეასრულონ როგორც თავად, ასევე უზრუნველყონ მისი დანერგვა საკუთარი ქვეკონტრაქტორების ჯაჭვის მასშტაბით (როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ფაზაზე). საკადრო პოლიტიკა უნდა მოიცავდეს შრომით ურთიერთობებს, დისკრიმინაციაზე უარს და თანაბარ შესაძლებლობებს, დასაქმებულების უფლებებს, შრომის ანაზღაურებას, შეღავათებს და სამუშაო პირობებს, ასევე გენდერული ძალადობისა და შევიწროების (GBVH) საკითხებს. ამას გარდა, მასში განხილული უნდა იყოს მუშახელისთვის განკუთვნილი გასაჩივრების მექანიზმი.</p>	კადრების მართვის გაუმჯობესება, შესაბამისობა ქვეყნის კანონმდებლობასთან და PR2-ის მოთხოვნებთან	PR2 ILO სტანდარტები ქვეყნის კანონმდებლობა	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	1. მუშახელის დაქირავების პროცესში და მშენებლობის დაწყებამდე  2. მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს	1. საკადრო პოლიტიკა და პროცედურები მომზადებულია და მისი შესრულება შეტანილია (ქვე)კონტრაქტორების ჯაჭვის სახელშეკრულებო პირობებში.  2. საკადრო პოლიტიკის განხორციელება



No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
2.2	<p><b>არალეგალური/არაოფიციალური დასაქმება</b> კონტრაქტორების და ქვეკონტრაქტორების ყოველთვიური და არაგეგმიური საკადრო აუდიტების ჩატარება გაუფრთხილებლად არალეგალური დასაქმების ყველა ფორმის გამოსავლენად.</p>	<p>არალეგალური/არაოფიციალური დასაქმების თავიდან აცილება</p>	<p>ქვეყნის კანონმდებლობა</p>	<p>სს „ვინდ ფაუერი“</p>	<p>მშენებლობის (წინასწარი სამუშაოების და მშენებლობის) და ექსპლუატაციაში შეყვანის პერიოდები</p>	<p>კადრების მონიტორინგის განხორციელება და ანგარიშგება კრედიტორების წინაშე, მშენებლობის შესახებ ანგარიშების ფარგლებში. კონტრაქტორების გაშვება, რომლებთანაც შეუსაბამოა ორჯერ დაფიქსირდება.</p>
2.3	<p><b>მუშახელისთვის განკუთვნილი გასაჩივრების მექანიზმი</b> გასაჩივრების მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დასაქმებულისათვის (პროექტის საქმიანობაში პირდაპირ თუ ირიბად დასაქმებულისათვის). მუშახელის ინფორმირება გასაჩივრების მექანიზმის შესახებ საორიენტაციო ინსტრუქტაჟის დროს (იხ. ქმედება 1.11).</p>	<p>მუშახელის შესაძლო საჩივრების მართვა</p>	<p>PR2</p>	<p>სს „ვინდ ფაუერი“-ს E&amp;S მენეჯერი</p>	<p>მუშახელის დაქირავების პროცესში და მშენებლობის დაწყებამდე მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს</p>	<p>გასაჩივრების მექანიზმი დანერგულია. მუშახელი ინფორმირებულია საორიენტაციო ინსტრუქტაჟის დროს.</p>
2.4	<p><b>უსაფრთხოების პერსონალი</b> მშენებლობის ან ექსპლუატაციის პერიოდისათვის დაქირავებულ უსაფრთხოების პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი, რომელიც ეყრდნობა უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე გაეროს ნებაყოფლობით პრინციპებს.</p>	<p>შტატგარეშე უსაფრთხოების პერსონალთან დაკავშირებული რისკების შერბილება</p>	<p>PR2</p>	<p>სს „ვინდ ფაუერი“-ს E&amp;S მენეჯერი</p>	<p>მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს</p>	<p>უსაფრთხოების პერსონალს სწავლება ჩაუტარდა მობილიზაციამდე.</p>
2.5	<p><b>მუშახელის ყოველდღიური მგზავრობა ან განთავსება</b> პროექტი მუშახელს მიაწვდის (i) ტრანსპორტს (ან მგზავრობის თანხას), რაც ეხება სამუშაო უბნებიდან 4კმ-ზე შორს მცხოვრებ ადგილობრივ მუშახელს; ან (ii) განთავსების საშუალებას, რომელიც დასაქმებულების განთავსების თაობაზე EBRD/IFC-ის სახელმძღვანელო მითითების მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა იყოს (იხ. ასევე ESAP-ის ქმედება 4.1).</p>	<p>მუშახელის არასათანადო განთავსების და ტრანსპორტირების თავიდან აცილება</p>	<p>PR2</p>	<p>სს „ვინდ ფაუერი“/ კონტრაქტორები</p>	<p>მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს</p>	<p>ადგილობრივი მუშახელი უზრუნველყოფილია ტრანსპორტით/ სათანადო განთავსების საშუალებით</p>

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
2.6	<p><b>ადგილობრივების დასაქმება</b> კონტრაქტორისა და მისი ქვეკონტრაქტორების მიერ ადგილობრივი მუშახელის დაქირავების გამჭვირვალე პროცედურის შემუშავება კონსულტაციის გამართვა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ამ პროცედურაზე მუშაობის დასრულებამდე და მის განხორციელებამდე.</p> <p>ადგილობრივების დასაქმების საკითხის მონიტორინგი კონტრაქტორების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე. უნდა გაირჩეს მამაკაცი/ქალი და მათი წარმოშობა: ადგილობრივი (რუისი, ურბნისი, დირბი, ბრეთის მეურნეობა, სასირეთი, ძლევიჯვარი, ბრეთი, სადოლაშენი და ბებნისი), საქართველოდან თუ საერთაშორისო.</p>	ადგილობრივების დასაქმების მართვა და მონიტორინგი	PR2 GIP	სს „ვინდ ფაუერი“/ კონტრაქტორები	მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს	დასაქმებულია მუშახელი პროექტის მიერ ზემოქმედებული დასახლებებიდან
3.1	<p><b>ეროზიასთან ბრძოლა</b> ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებების შეტანა CESMP-ში, მათ შორის მიწის სამუშაოების, დროებითი უბნების, ნიადაგის ზედა ფენისა და სარეკულტივაციო სამუშაოების (სამუშაოების დასრულებიდან სულ მცირე ორი წლის განმავლობაში) მართვისა და მონიტორინგის კომპლექსური ღონისძიებებისა, რომლებიც უკონტროლო ეროზიის ან გრუნტით დაბინძურების რისკის თავიდან აცილებას ან მინიმუმამდე შემცირებას უზრუნველყოფს. გეგმის განხორციელება თავად ან კონტრაქტორების მეშვეობით.</p>	გრუნტით უკონტროლო დაბინძურების და ეროზიული პროცესების თავიდან აცილება.	PR3	სს „ვინდ ფაუერი“- ს E&S მენეჯერი	გეგმა მომზადებულია და ხორციელდება მშენებლობის დროს, დაწყებული წინასწარი საქმიანობიდან. გეგმა განახლებულია ექსპლუატაციის ფაზაზე ოპერირებისათვის.	ეროზიის მართვა ხორციელდება; დროებითი უბნები რეკულტივირებულია.
3.2	<p><b>ტურბინის ზეთის დაღვრა</b> საცხებ-საპოხი მასალების გაყონვით გამოწვეული დაბინძურების თავიდან ასაცილებლად ტექნოლოგიურ დანადგარები იმგვარად უნდა დაპროექტდეს, რომ გაყონილი საზეთი შეგროვდეს და შეკავდეს, ან ბიოდეგრადირებადი/ არატოქსიკური საზეთი მასალის გამოყენება უნდა მოხდეს.</p>	ზეთის გარემოში უკონტროლო მოხვედრის თავიდან აცილება ექსპლუატაციის დროს.	PR3	სს „ვინდ ფაუერი“- ს მხრიდან კონტრაქტორების ხელშეკრულებების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი	დაპროექტებისა და მიწოდების ფაზები.	მოთხოვნა შეტანილია მომწოდებლის/ პროექტანტის სპეციფიკაციებში და კონტრაქტში. ტოქსიკური/ დამაბინძურებელი ზეთის გაყონვა თავიდან არის აცილებული.

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
3.3	<p><b>საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე და საქმიანობაზე ზემოქმედება</b></p> <p>პროექტის სამუშაო უზნების მახლობლად მდებარე სენსიტიური საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების დადგენა (საავადმყოფოები და ჯანდაცვის ობიექტები, სკოლები, საკულტო და რელიგიური ადგილები, პოლიცია, თავდაცვა) და საქმიანობის (საბაზრო დღეები, სასკოლო სატრანსპორტო მარშრუტები...) და მათთან კონსულტაციების გავლა ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც გათვალისწინებულია ხმაურის, მტვრის და სატრანსპორტო ნაკადების მართვისათვის და ავარიების რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად. ასეთი საზოგადოებრივ ობიექტებზე/საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება და ინტერესებული მხარეების ჩართულობის ინსტრუმენტების და გასაჩივრების მექანიზმის შესახებ. სამშენებლო და სატრანსპორტო კომპანიებისაგან შეთანხმებული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების მოთხოვნა.</p>	არათანაზომიერი ზემოქმედების თავიდან აცილება.	PR3	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	მშენებლობა.	საზოგადოებრივი ობიექტებისა და საქმიანობის მმართველებთან გავლილი კონსულტაცია, შემარბილებელი ქმედებები შეთანხმებულია და ხორციელდება პროექტში ჩართული სამშენებლო და სატრანსპორტო კომპანიების მიერ.
3.4	<p><b>პესტიციდების აკრძალვა</b></p> <p>ჰერბიციდების მოხმარების აკრძალვა მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდებში. ნებადართულია მხოლოდ მცენარეულობის მექანიკურად მოცილება.</p>	დამაბინძურებლების ჭარბად გავრცელების თავიდან აცილება.	PR3	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	წინასწარი საქმიანობის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზები.	პესტიციდების არ გამოყენებულა.
3.5	<p><b>ციმციმის ეფექტის თავიდან აცილება</b></p> <p>ESAP-ის 1.12 ქმედების შესაბამისად, ექსპლუატაციის დროს ტურბინები უნდა გაითიშოს ისეთ სენსიტიურ რეცეპტორებთან (მათ შორის ყველა შესახლებულ საცხოვრებელ სახლთან) ციმციმის ეფექტის თავიდან ასაცილებლად, სადაც მას ადგილი აქვს წლიურად 30 საათზე ხანგრძლივად და დღის განმავლობაში ზედიზედ 30 წუთზე ხანგრძლივად. ტურბინების გათიშვის ნაცვლად იმ შინამეურნეობების ფიზიკური ადგილმონაცვლეობის ან ფინანსური კომპენსაციის ვარიანტი, რომელთა შემთხვევაშიც 30 საათიანი/30 წუთიანი ზღვრის გადაჭარბებას აქვს ადგილი, შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში და EBRD-ს მხრიდან თანხმობას საჭიროებს, რის შესახებაც გადაწყვეტილება LESA-ს აუდიტის საფუძველზე მიიღება.</p>	მიმდებარე დასახლებებში ციმციმის ეფექტის თავიდან აცილება.	PR3	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	1. გასაჯაროების დროს  2. დიზაინის, მონტაჟის და ექსპლუატაციის დროს	1. განისაზღვროს ციმციმის საბოლოო ეფექტი  2. გამორთვის მექანიზმი გათვალისწინებულია ავტომატურ მართვაში და მუშაობს.

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
3.6	<p><b>ნარჩენების მართვის პრობლემები</b></p> <p>1.8 ქმედების (შესაბამისად 1.7) ქმედების ფარგლებში, კონტრაქტორებმა (შესაბამისად „ფერი ქონსტრაქშენ“-მა) HSEMP-ში უნდა შეიტანონ სამშენებლო ნარჩენების შეგროვების, დახარისხების და ნებადართულ ადგილებში განთავსების საკითხები. „ფერი ქონსტრაქშენ“-მა უნდა უზრუნველყოს იმ მცირე კონტრაქტორების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მართვა, რომლებიც „ფერი ქონსტრაქშენ“-ის HSEMP-ის დაცვით საქმიანობენ (1.8 ქმედების შესაბამისად)</p>	ნარჩენების მართვის პრობლემები	PR3	სს „ვინდ ფაუერი“, სპეციალიზებული კონტრაქტორების მეშვეობით	წინასწარი საქმიანობის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზები.	ნარჩენები შეგროვებულია, დახარისხებულია და განთავსებულია. ნარჩენების ქაოტურ განთავსებას ადგილი არ აქვს.
3.7	<p><b>SF6-ს გამოყენება</b></p> <p>ელექტრო-მაგნიტურ აღჭურვილობაში საიზოლაციოდ SF6-ს გამოყენება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც დიზაინის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებზე ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის No 517/2014 რეგულაციის „ფთხორიებული სათბურის აირების შესახებ“ ამოცანებთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი.</p>	სათბურის აირების გაფრქვევების პრევენცია	საქართველოს კანონმდებლობა PR3	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი, სს „ვინდ ფაუერი“-ს მხრიდან დიზაინერების/კონტრაქტორების ხელშეკრულებების მომზადებაზე პასუხისმგებელ პირთან კოორდინირებულად	დიზაინის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებზე	კონტრაქტში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი: SF6-ს აკრძალვა ან მართვა ევროკავშირის No 517/2014 რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
3.8	<p><b>ხმაურის შესწავლა და მოდელირება</b></p> <p>ESAP-ის 1.12 ქმედების შესაბამისად, დაქირავებული უნდა იქნას სანდო, გამოცდილი კომპანია, რომელიც ქარის სადგურის ტერიტორიაზე ან მის გარშემო მდებარე უახლოეს რეცეპტორებთან (სახლებთან ან მნიშვნელოვან საზოგადო დაწესებულებებთან) განახორციელებს ხმაურის 24 საათიან სრულფასოვან კვლევას ერთი სამუშაო დღისა და ერთი უქმე დღის განმავლობაში. ხმაურის მოდელირება უნდა განხორციელდეს ყველა ტურბინისათვის ერთად და არა ცალ-ცალკე. შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება მოდელირების შედეგების გათვალისწინებით, რათა IFC-ის ზოგადი EHS მითითებებით ხმაურისთვის დადგენილი ზღვრების გადაჭარბება არ მოხდეს. შედეგების წარდგენა EBRD-ის დასტურის მისაღებად მას შემდეგ, რაც მათ LESA განიხილავს.</p>	ხმაურით შეწუხება	PR3	სს „ვინდ ფაუერი“, სპეციალიზებული კონსულტანტის მეშვეობით	<p>1. განლაგების საბოლოო სქემის დამტკიცებამდე</p> <p>2. პირველ ტრანშამდე</p> <p>3. მშენებლობის დროს</p> <p>4. ექსპლუატაციის დაწყებისას</p>	<p>1. ხმაურის მოდელირება შესრულებულია და შედეგები გათვალისწინებულია განლაგების საბოლოო სქემაში</p> <p>2. სს „ვინდ ფაუერი“ მოამზადებს საინფორმაციო დამატებას, რომელშიც აღწერილი იქნება საბოლოო განლაგების სქემა/ დიზაინი, მათ შორის ციმციმის, ხმაურის, ვიზუალურ ზემოქმედების და ყინულის ცვენის საკითხები უახლოეს რეცეპტორებთან მიმართებით.</p> <p>3. შემარბილებელი ღონისძიებები განხორციელებულია</p> <p>4. შერჩეულ რეცეპტორებთან ხმაურის დონეების აუდიტი დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ</p>

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
3.9	<p><b>ვიზუალური ზემოქმედება</b></p> <p>ქარის ტურბინების ვიზუალური ზემოქმედების შეფასება განლაგების საბოლოო სქემის პროექტის საფუძველზე. შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ლანდშაფტთან დაკავშირებული ყველა ბიზნესი და საქმიანობა (ტურიზმი, დასვენების ადგილები, რელიგიური ან სხვა საზოგადოებრივი ადგილები), მათ შორის უახლოეს დასახლებებში უნდა მოეწყოს საჯარო შეხვედრები და ზემოქმედების დადასტურების შემთხვევაში შემუშავებული უნდა იქნას შემარბილებელი ღონისძიებები. შემარბილებელი ღონისძიებები უნდა იყოს ოპერატიული (კერძოდ, ვიზუალური ეკრანის მოწყობა ხეების დარგვით მისაღები იქნება მხოლოდ მაშინ, თუ შესაძლებელი იქნება სათანადო ზომის ხეების ყიდვა და დარგვა). ვიზუალური ზემოქმედების შეფასების შედეგების წარდგენა EBRD-ის დასტურის მისაღებად მას შემდეგ, რაც მათ LESA განიხილავს.</p>	ვიზუალური ზემოქმედება	PR3	სს „ვინდ ფაუერი“, სპეციალიზებული კონსულტანტის მეშვეობით	<p>1. განლაგების საბოლოო სქემის დამტკიცებამდე</p> <p>2. პირველ ტრანშამდე</p> <p>3. მშენებლობის დროს</p> <p>4. ექსპლუატაციის დაწყებისას</p>	<p>1. ვიზუალური ზემოქმედების მოდელირება შესრულებულია და შედეგები გათვალისწინებულია განლაგების საბოლოო სქემაში</p> <p>2. სს „ვინდ ფაუერი“ მოამზადებს საინფორმაციო დამატებას, რომელშიც აღწერილი იქნება საბოლოო განლაგების სქემა/ დიზაინი, მათ შორის ციმციმის, ხმაურის, ვიზუალურ ზემოქმედების და ყინულის ცვენის საკითხები უახლოეს რეცეპტორებთან მიმართებით.</p> <p>3. შემარბილებელი ღონისძიებები განხორციელებულია</p> <p>4. შერჩეულ რეცეპტორებთან ვიზუალური ზემოქმედების აუდიტი დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ</p>

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
4.1	<p><b>მუშახელის განთავსება</b>  მუშახელის განთავსება უნდა მოხდეს განთავსების თაობაზე IFC/EBRD-ის სახელმძღვანელო მითითების შესაბამისად (და კონტრაქტორებსაც იგივე უნდა მოეთხოვოთ).</p>	<p>მუშახელის განთავსება ჯანსაღ და უსაფრთხო შენობა-ნაგებობებში</p>	PR4	სს „ვინდ ფაუერი“/ კონტრაქტორები	წინასწარი საქმიანობა და მშენებლობა	მუშახელის განთავსების ობიექტების მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად, „ფერი“-ს E&S მენეჯერის მიერ
4.2	<p><b>საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნა და მათზე რეაგირება</b>  CESMP-ის ფარგლებში უნდა მომზადდეს საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნისა და მათზე რეაგირების გეგმა მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდებისათვის.  საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნისა და მათზე რეაგირების გეგმის განახლება ექსპლუატაციის ფაზისათვის</p>	საგანგებო სიტუაციების პროგნოზირება.	PR4	1. კონტრაქტორი  2. სს „ვინდ ფაუერის“ E&S მენეჯერი	1. წინასწარი საქმიანობიდან დაწყებული, მშენებლობის პერიოდის ჩათვლით  2. განახლება ექსპლუატაციის პერიოდისათვის.	გეგმა მომზადებულია, წლიურად გადაიხედება და საჭიროებისამებრ განახლება ხოლმე.
4.3	<p><b>პესტიციდების ზემოქმედება</b>  HSEMP-სა და SEP-ში ღონისძიებების შეტანა, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდებარე ფერმერების მიერ პესტიციდების მოხმარებიდან მომდინარე რისკების შერბილებას, მათ შორის:  (i) ყოველგვარი საქმიანობის შეჩერება და უსაფრთხო ადგილას შეკრება, თუ ახლომახლო პესტიციდების შესხურება მიმდინარეობს; (ii) პესტიციდების შესხურებასთან დაკავშირებული ინციდენტების/ უბედური შემთხვევების მონიტორინგი და ფერმერებთან დაკავშირება მუშახელის უსაფრთხოების გასაზრდელად.</p>	მუშახელის ჯანმრთელობა	PR4	სს „ვინდ ფაუერი“/ კონტრაქტორები	ურთიერთქმედები სა და ზემოქმედების თავიდან აცილების მექანიზმის შემუშავება მშენებლობის დაწყებამდე  განხორციელება მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს	ურთიერთქმედებისა და ზემოქმედების თავიდან აცილების მექანიზმი შემუშავებულია და დანერგილია.

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
4.4	<p><b>მონადირეების ზემოქმედება</b></p> <p>HSEMP-სა და SEP-ში (იხ. ESAP-ის ქმედება 10.1) ღონისძიებების შეტანა, რომლებიც არემარეში ნადირობასთან დაკავშირებულ რისკებს შეარბილებს (კერძოდ, მწყერზე ნადირობასთან დაკავშირებულს, რის შესახებაც აღნიშნულია ბსგზშ-ის ანგარიშში), მათ შორის: (i) ნადირობის სეზონზე თვალშისაცემი ყილეტების მუდმივად ტარება ქეს-ის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ნებისმიერი პირის მიერ, (ii) არემარეში სროლის დროს ყოველგვარი საკმიანობის შეჩერება და უსაფრთხო ადგილას შეკრება, (iii) ნადირობასთან დაკავშირებული ინციდენტების/ უბედური შემთხვევების მონიტორინგი და მონადირეთა ადგილობრივ ასოციაციებთან/ წარმომადგენლებთან დაკავშირება მუშახელისა და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გასაზრდელად.</p>	<p>მუშახელისა და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება</p>	PR4	სს „ვინდ ფაუერი“/ კონტრაქტორები	<p>ურთიერთქმედებისა და ზემოქმედების თავიდან აცილების მექანიზმის შემუშავება მშენებლობის დაწყებამდე</p> <p>განხორციელება მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს</p>	<p>ურთიერთქმედებისა და ზემოქმედების თავიდან აცილების მექანიზმი შემუშავებულია და დანერგილია.</p>
4.5	<p><b>მოსახლეობის ჯანმრთელობა, სიმშვიდე და უსაფრთხოება</b></p> <p>სანდო, გამოცდილი კონსულტანტის დაქირავება „<b>მოსახლეობის ჯანმრთელობის, სიმშვიდისა და უსაფრთხოების გეგმის</b>“ მომზადებისა და განხორციელებისათვის. ეს გეგმა უნდა ფარავდეს შემდეგ საკითხებს: (i) ღამის სამუშაოების რეგულირება საღამოს 8 საათიდან დილის 7 საათამდე ხმაურიანი სამუშაოების თავიდან აცილების მიზნით; (ii) მტვრის კონტროლი, (iii) ტრანსპორტის ნაკადის მართვა მისასვლელ გზებზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად („გზები“ მოიცავს როგორც ტერიტორიისაკენ მიმავალ მოასფალტებულ გზებს, ასევე პროექტის ტერიტორიის გრუნტის გზებს). პროექტის სამშენებლო სამუშაოებში ჩართული სატვირთო მანქანები აღჭურვილი იქნება GPS-ის მეშვეობით სიჩქარის/ მდებარეობის მუდმივი კონტროლის სისტემით. მაღალი რისკის სატრანსპორტო ოპერაციების დროს (მაგ., ფრთების მიწოდება), ადგილობრივი მოსახლეობა წინასწარ უნდა იქნას გაფრთხილებული საგზაო მოძრაობის დაგეგმილი შეფერხებების შესახებ.</p>	<p>მოსახლეობის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება</p>	PR4	სს „ვინდ ფაუერ“-ის E&S მენეჯერი/ კონტრაქტორები	<p>1. გეგმა მომზადებული და დამტკიცებულია მშენებლობის დაწყებამდე.</p> <p>2. გეგმა განხორციელდა მშენებლობის დროს</p>	<p>1. გეგმა მომზადდა, დამტკიცებულია EBRD-ის მიერ და კონტრაქტორს დაუწესდა გეგმის შესრულების სახელშეკრულებო ვალდებულება</p> <p>2. გეგმა განხორციელებულია კონტრაქტორის მიერ, რისი მონიტორინგიც „ფერი“-ს E&amp;S მენეჯერმა მოახდინა</p>



5.1	<p><b>მიწის შეძენისა და საარსებო საშუალებების აღდგენის წინასწარი სამუშაოები</b></p> <p>სანდო, გამოცდილი კონსულტანტის დაქირავება, რომელიც PR5-ის მიხედვით ჩაატარებს დღემდე განხორციელებული მიწის შეძენის სამუშაოების აუდიტს, განსაზღვრავს შესაძლო მაკორექტირებელ ქმედებებს და შეიმუშავებს პროექტის მიერ სამუდამოდ ან დროებით გამოყენებული/ ზემოქმედებული მიწის ნაკვეთების (მ.შ. საჰაერო გადამცემი ხაზისთვის, მიწისქვეშა კაბელებისთვის, ქვესადგურისთვის და პროექტის მისასვლელი გზებისთვის საჭირო მიწის) მესაკუთრეთა/ მომხმარებელთა მონაცემთა ბაზას, რომელშიც, როგორც მინიმუმ, წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> პროექტისათვის სამუდამოდ ან დროებით საჭირო მიწა</li> <li><input type="checkbox"/> მიწა, რომელზეც მიწათსარგებლობა ქარის ტურბინების ხმაურის გამო (იხ. IFC-ის ზოგადი EHS მითითებები), ან ციმციმის ეფექტის გამო (იხ. IFC-ს ქვე-ების შესახებ მითითებების 30სათის/30წუთის წესი), ან საჰაერო გადამცემი ხაზის მოწყობის გამო შეიზღუდება (და, შესაბამისად, რომლის ღირებულებაც შემცირდება).</li> <li><input type="checkbox"/> მიწის მესაკუთრეები (სახელმწიფო თუ კერძო, ფიზიკური თუ მორალური/მოსარგებლე, მართლზომიერი თუ დაკანონებადი)</li> <li><input type="checkbox"/> მიწით მოსარგებლეები (ოფიციალური და არაოფიციალური, მიწათსარგებლობის სეზონური ცვლილებების გათვალისწინებით) და დასაქმებულები/ მუშახელი, რომელთათვისაც ზემოქმედებული მიწა საარსებო წყაროა</li> <li><input type="checkbox"/> მიწის მესაკუთრეების ან მოსარგებლეების მოწყვლადობა და საჭირო დახმარება</li> <li><input type="checkbox"/> მიწის ფლობასთან ან მიწით სარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები და საჩივრები</li> <li><input type="checkbox"/> დამაგრებული ინფრასტრუქტურა (წყალსარიანი ან სარწყავი არხები, შენობა-ნაგებობები, გზები...)</li> <li><input type="checkbox"/> შეძენის მეთოდი (იჯარა ან შესყიდვა) და სტატუსი</li> <li><input type="checkbox"/> მიწის შეძენისა და საარსებო წყაროების აღდგენის თანხების გადახდა: დადგენილი მხარეები, გაანგარიშების საფუძველი, მოლაპარაკების შედეგი და გადახდის სტატუსი</li> <li><input type="checkbox"/> GIS-ში შეტანა, ტერიტორიაზე შესვლის მზაობის მითითებით (იხ. ESAP, ქმედება 1.12)</li> <li><input type="checkbox"/> იურიდიული ცვლილებები საკუთრებაში (დაკანონება, მემკვიდრეობა...)</li> </ul>	<p>პროექტის მიერ ზემოქმედებული პირების გამოვლენის უზრუნველყოფა და სანდო მონაცემთა ბაზა, რომელიც მიწის შეძენის, კომპენსაციების და საჩივრების მონიტორინგს საშუალებას იძლევა</p>	<p>PR5/PS5 საქართველო ს კანონმდებლობა</p>	<p>სს „ვინდ ფაუერი“-ს E&amp;S მენეჯერი</p>	<p>1-ლ ტრანშამდე</p>	<p>მონაცემთა ბაზა EBRD-ს წარედგინა ვიდრე მიწის შეძენა დაიწყებოდა.</p>
-----	---	---	---	--	----------------------	---

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
	ამ მონაცემთა ბაზაში უნდა დაფიქსირდეს მიწის შეძენის ყველა ფაქტი, რომელსაც დაფინანსების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებამდე ჰქონდა ადგილი					
5.2	<p><b>მიწის შეძენისა და საარსებო საშუალებების აღდგენის ძირითადი სამუშაოები</b></p> <p>ESAP-ის 1.12 ქმედების შესაბამისად, ESAP-ის 5.1 ქმედების ფარგლებში დაქირავებულ კონსულტანტს დაევალოს მიწის მფლობელების/ მიწით მოსარგებლების მონაცემთა ბაზის გაფართოება, რომ მასში შევიდეს ყველა მიწის ნაკვეთი, რომლის გამოყენებაც პროექტისთვის არის დაგეგმილი და LALRF-ი გარდაქმნას „მიწის შეძენისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმად“ (LALRP), რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> ESAP-ის 5.1 ქმედებით განსაზღვრული მაკორექტირებელი ზომების განხორციელება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.</li> <li><input type="checkbox"/> მიწის ნებაყოფლობით გასხვისების (ინდივიდუალური ან კოლექტიური) ყველა ხელშეკრულებისა და არანებაყოფლობით დაკარგული საარსებო წყაროების/ზიანის კომპენსაციის ყველა შემთხვევის ყველა ასპექტის დეტალურად დაფიქსირება ESAP-ის 5.1 ქმედების ფარგლებში მომზადებული მონაცემთა ბაზის მეშვეობით.</li> <li><input type="checkbox"/> ყველა დამხმარე საქმიანობის დეტალური მონიტორინგი, მათ შორის: მიწაზე შესვლის ნებართვის, საჩივრების მართვის, მოწყვლადი დაინტერესებული მხარეების დახმარების და გენდერული ღონისძიებების.</li> </ul>	პროექტისათვის მიწის შეძენითა და გამოყენებით გამოწვეული მავნე სოციალური ზემოქმედების თავიანთ აცილება	PR5/PS5 საქართველოს კანონმდებლობა	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	<p>1.LALRP-ის მომზადება 1-ლ ტრანშამდე და განახლება მიწის შეძენის პროცესის შესაბამისად.</p> <p>2.ყოველთვიური შიდა მონიტორინგი და ანგარიშგება LALRP-ის განხორციელების დროს.</p> <p>3.კვარტალური მონიტორინგი LESA-ს მიერ</p>	<p>1.LALRP-ი მომზადდა ცოცხალი დოკუმენტის სახით.</p> <p>2.ანგარიშები წარედგინა EBRD-ს</p> <p>3.LESA-მა განახორციელა LALRP-ის მონიტორინგი.</p>
5.3	<p><b>LALRP-ის დასრულების აუდიტი</b></p> <p>ყველა მიწის შეძენისა და საარსებო წყაროების აღდგენის საქმიანობის დასრულების აუდიტის განხორციელება</p>	პროექტისათვის მიწის შეძენითა და გამოყენებით გამოწვეული მავნე სოციალური ზემოქმედების თავიანთ აცილება	PR5/PS5 საქართველოს კანონმდებლობა	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	მიწის შეძენის დასრულებიდან 2 წლის შემდეგ	<p>კრედიტორებმა ჩაიბარეს აუდიტი</p> <p>მოუგვარებელი საჩივრების რაოდენობისა და მათი მოგვარების სტატუსის შესახებ ანგარიში წარდგენილია კრედიტორებთან.</p>

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
5.4	<p><b>წინასამშენებლო კვლევები:</b> მისასვლელი გზების/ხიდების და მიმდებარე სახლების ან ღობეების/ნაგებობების მდგომარეობის წინასამშენებლო კვლევა სასამართლოს აღმასრულებელთან ერთად. ამ კვლევების მიზანია წინასამშენებლო მდგომარეობის დოკუმენტებში ასახვა და შესაძლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობის შეფასების საფუძვლის შექმნა. პროექტის მთავარი კონტრაქტორის უნდა დაეკისროს მის მიერ ან მისი ქვეკონტრაქტორების მიერ მიყენებული ზიანის გამოსწორების ვალდებულება.</p>	<p>ზიანის თაობაზე არამართლზომიერი საჩივრების თავიდან აცილება</p>	PR5	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	სამშენებლო სამუშაოების მობილიზაციამდე	<p>კვლევა განხორციელებულია.  პროექტით მიყენებული ზიანი გამოსწორებულია.</p>
6.1	<p><b>ფრინველების შეჯახების რისკის გადამოწმება</b> საერთაშორისო გამოცდილების მქონე გამოცდილი კომპანიის მოწვევა: (i) დამატებითი ორნითოლოგიური კვლევების განხორციელებისათვის, მათ შორის შეჯახების რისკის მოდელის მოსამზადებლად, რომლებიც SNH-ის ან Birdlife-ის მითითებების შესაბამისად უნდა განხორციელდეს; (ii) საკონსერვაციო მნიშვნელობის მქონე ფრინველებთან მიმართებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ტურბინების გამორთვის მექანიზმის შესამუშავებლად; (iii) გრძელვადიანი ორნითოლოგიური მონიტორინგის პროგრამის შესამუშავებლად, რომელიც გამორთვის მექანიზმის ეფექტიანობის მონიტორინგსა და მის მუდმივ გაუმჯობესებას უნდა ითვალისწინებდეს. კონსულტანტის შერჩევას, კონსულტანტს უნდა გადაეცეს დღემდე შეგროვებული მონაცემები და კონსულტანტმა თავის წინადადებაში უნდა წარმოადგინოს SNH/Birdlife-ის მითითებებთან ამ მონაცემთა შესაბამისობის ანალიზი, რათა შეძლებისდაგვარად შეფასდეს უკვე შეგროვებული მონაცემები.</p> <p>მკვდარი ფრინველების ძეხვის საქმიანობის კოორდინირება ხელფრთიანების/დამურების სიკვდილიანობის მონიტორინგთან (იხ. ESAP-ის ქმედება 6.4.)</p>	<p>ფრინველების შეჯახების რისკი</p>	PR6	სს „ვინდ ფაუერის“ პროექტის მენეჯერი	<p>1. კონტრაქტორი არჩეულია. ტექნიკური დავალება შეთანხმებულია EBRD საბჭოს გადაწყვეტილებამდე.  2. კვლევების დაწყება პირველი ტრანშის გაცემამდე  3. ექსპლუატაციაში გაშვებამდე და ბოლო ტრანშის გაცემამდე.</p>	<p>1. კონტრაქტორი არჩეულია. ტექ. დავალება შეთანხმებულია.  2. კვლევა დაწყებულია  3. კვლევა დასრულებულია, რომელიც აუცილებელია შეჯახების რისკის მოდელის გასაკეთებლად, ტურბინის გამორთვის მექანიზმი (თუ ამის საჭიროება არსებობს) გათვალისწინებულია ქარის ელექტროსადგურის ოპერირების დროს და ექსპერტები ჩართულები არიან გრძელვადიანი ორნითოლოგიური მონიტორინგის პროგრამაში.</p>

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
6.2	<p><b>ფრინველების შეჯახების რისკის მართვა და მონიტორინგი</b></p> <p>ESAP-ის 6.1 ქმედებით განსაზღვრული გრძელვადიანი ორნითოლოგიური მონიტორინგის პროგრამის განხორციელება. წლიური შედეგების, ასევე ტურბინების გამორთვის მექანიზმის ეფექტიანობისა და მისი მუდმივად დახვეწის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება.</p>	<p>ფრინველების შეჯახების მონიტორინგი</p>	<p>PR6</p>	<p>სს „ვინდ ფაუერი“-ს E&amp;S მენეჯერი</p>	<p>ექსპლუატაციის პერიოდში.</p> <p>მონიტორინგის გრაფიკი, რომელიც ESAP-ის 6.1 ქმედების ვარგლებში განისაზღვრა</p>	<p>მონიტორინგის ანგარიშები გასაჯაროებულია.</p> <p>გამორთვის მექანიზმი მუდმივად იხვეწება</p>
6.3	<p><b>ხელფრთიანების/ლამურების დაცვა</b></p> <p>ქეს-ის ტექნიკურ დიზაინში, ასევე მისი მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ლამურებზე ზემოქმედების შემარბილებელი ყველა ღონისძიება, რომლებიც ბსგზმ-ის გასაჯაროებულ პაკეტში არის აღწერილი. ტურბინების გამორთვის მექანიზმი ავტომატიზებული უნდა იყოს.</p>	<p>ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანად შესრულების უზრუნველყოფა.</p>	<p>PR6</p> <p>საქართველოს კანონმდებლობა</p>	<p>სს „ვინდ ფაუერი“-ის E&amp;S მენეჯერი, ტექნიკურ სპეციალისტებთან თანამშრომლობით</p>	<p>ბსგზმ-ის გასაჯაროებული პაკეტის მიხედვით</p>	<p>ბსგზმ-ის გასაჯაროებულ პაკეტში ხელფრთიანებისთვის /ლამურებისთვის განკუთვნილი შემარბილებელი ღონისძიებები განხორციელებულია</p>
6.4	<p><b>ლამურების სიკვდილიანობის მონიტორინგი</b></p> <p>სანდო, გამოცდილი კონსულტანტის დაქირავება ლამურების სიკვდილიანობის მონიტორინგის პროგრამის შესამუშავებლად, რომლის მიზანი უნდა იყოს სიკვდილიანობის ფაქტობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ავტომატური გამორთვის მექანიზმის ეფექტიანობის გადამოწმება, ან მისი სახეცვლილება.</p> <p>პროექტის სიდიდის გათვალისწინებით, ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია ფრინველებისა და ლამურების გვამების ძებნა ერთდროულად მოხდეს, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნას აღიარებული მეთოდი, რომელიც მოწინავე საერთაშორისო დარგობრივ პრაქტიკასთან (GIIP) არის შესაბამისობაში.</p> <p>მონიტორინგი უნდა მოიცავდეს მინიმუმ ოპერირების პირველ 3 წელს, ხოლო მნიშვნელოვანი სიკვდილიანობის შემთხვევაში უნდა გაგრძელდეს.</p>	<p>ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანად შესრულების უზრუნველყოფა.</p>	<p>PR6</p> <p>საქართველოს კანონმდებლობა</p> <p>GIIP</p>	<p>სს „ვინდ ფაუერი“-ს E&amp;S მენეჯერი</p>	<p>1.ექსპლუატაციაში გაშვებამდე</p> <p>2.ექსპლუატაციის დროს</p>	<p>1.მონიტორინგის პროგრამა მზადაა</p> <p>2.მონიტორინგის პროგრამა განხორციელდა</p>

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
6.5	<p><b>ბიომრავალფეროვნება და გარემოს დაცვა</b> მუშახელის საორიენტაციო ინსტრუქტაჟში შეტანილი უნდა იქნას პროექტის ტერიტორიის ველური ბუნების დაცვის საკითხები (იგივე მოთხოვნა უნდა დაუწესდეს კონტრაქტორებს).</p>	ბიომრავალფეროვნება და გარემოს დაცვა	PR6 საქართველო ს კანონმდებლობა	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	სამშენებლო პერიოდში. მუშახელმა გაიარა საორიენტაციო ტრენინგი.	მუშახელმა გაიარა ტრენინგი
6.6	<p><b>ბიომრავალფეროვნების ერთიანი მართვა</b> სანდო და გამოცდილი კონსულტანტის დაქირავება, რომელმაც უნდა: (i) შეაჯეროს პროექტის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ხმელეთის ფაუნის/ფლორის სახეობების ნუსხა (ფრინველების და ღამურების გამოკლებით), რომელთა შემთხვევაშიც მოქმედებაში მოდის PBF/CH და შეიმუშაოს ზემოქმედების თავიდან აცილების სტრატეგია; (ii) მოამზადოს პროექტის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ინვაზიური სახეობის (<i>Xanthium spinosum</i>) მონიტორინგის და აღმოფხვრის პროგრამა; (iii) შეიმუშაოს სახეობების <i>Thymus tiflisiensis</i>, <i>Teucrium nuchense</i>, <i>Scabiosa georgica</i>, <i>Onobrychis cyri</i> და <i>Jurinea cartaliniana</i> კონსერვაციის პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია ბსგზშ-ის ანგარიშით.  კონსულტანტის მიერ მომზადებული ბიომრავალფეროვნების მართვის ერთიანი გეგმის ყველა რეკომენდაციის შესრულება.</p>	ბიომრავალფეროვნება და გარემოს დაცვა	PR6 საქართველო ს კანონმდებლობა	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	1.პირველ ტრანშამდე  2.კონტრაქტორის მობილიზაციამდე	1.კონსულტანტი შერჩეულია EBRD-ისთან შეთანხმებით და მასთან ხელშეკრულება გაფორმებულია  2. ბიომრავალფეროვნების მართვის ერთიანი გეგმა დამტკიცებულია „ფერი“-სა და EBRD-ის მიერ და განხორციელებისათვის მზადაა
8.1	<p><b>შემთხვევითი აღმოჩენები</b> გამოცდილი არქეოლოგის დახმარებით, შემთხვევითი აღმოჩენის პროცედურის შემუშავება პროექტში ჩართული კონტრაქტორებისთვის და მათგან მისი დაცვის მოთხოვნა. მუშახელისთვის ტრენინგის ჩატარება შესაძლო შემთხვევითი აღმოჩენების ხასიათისა და მათი მართვის ღონისძიებების თაობაზე (და კონტრაქტორებისგან იმავს მოთხოვნა).</p>	კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკის შემცირება	PR8	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	სამშენებლო საქმიანობის დაწყებამდე	პროცედურა მომზადებულია.  კონტრაქტორებს განხორციელების მოთხოვნა დაუწესდათ  მუშახელს ჩაუტარდა ტრენინგი და არსებობს ტრენინგების ჩატარების ოქმები.

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
8.2	<p><b>არქეოლოგი</b> სანდო დამოუკიდებელი არქეოლოგის დაქირავება შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად: (i) სენსიტიური ტერიტორიების დემარკაცია, (ii) მუშახელის ცნობიერების ამაღლება შემთხვევითი აღმოჩენის შესახებ, (iii) განსაზღვრა, მიწის სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორია დათვალთვრებას თუ საჭიროებს.</p>	კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკის შემცირება	PR8	სს „ვინდ ფაუერ“-ის E&S მენეჯერი დამოუკიდებელ არქეოლოგთან ერთად	სამშენებლო საქმიანობის დაწყებამდე	დამოუკიდებელი არქეოლოგი დაქირავებულია  სენსიტიური ადგილები მონიშნულია და ცნობიერება ამაღლებულია.
10.1	<p><b>დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განახლება და არატექნიკური რეზიუმე</b> სანდო და გამოცდილი კონსულტანტის დაქირავება, რომელიც ცალკე დოკუმენტის სახით მოამზადებს შინაარსიან „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას“ (SEP), რომელიც A კატეგორიის პროექტის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების თანაზომიერი უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს გასაჯაროების, წინასამშენებლო და მშენებლობის პერიოდებს. საკვანძო ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.  არატექნიკური რეზიუმეს მომზადება ბსგზმ-ის პაკეტთან ერთად გასაჯაროების მიზნით.</p>	შინაარსიანი კონსულტაციები	PR10	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	<b>EBRD-ის წესებით A კატეგორიის პროექტის შესახებ ინფორმაციის ოფიციალურად გასაჯაროებამდე</b>	თანაზომიერი SEP-ი მომზადებულია და დამტკიცებულია EBRD-ის მიერ.
10.2	<p><b>დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელება</b> დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP) უნდა განხორციელდეს. ეს დოკუმენტი წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გადაიხედოს და საჭიროებისამებრ განახლდეს (ეს ასევე უნდა მოხდეს ექსპლუატაციის დაწყებამდე). საკვანძო ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.</p>	დაინტერესებულ მხარეთა ეფექტიანად ჩართვის და მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობის უზრუნველყოფა	PR10	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	გასაჯაროების, წინასამშენებლო, მშენებლობის და ექსპლუატაციების პერიოდებში.	SEP-ი მომზადდა და განხორციელდა, რეგულარულად ხდება მისი განახლება.

No.	ქმედება	E&S რისკები	მოთხოვნა	პასუხისმგებელი მხარე	განხორციელების ვადები	სამიზნეები და შესრულების კრიტერიუმები
10.3	<p><b>მოსახლეობისთვის განკუთვნილი გასაჩივრების მექანიზმი</b>  მოსახლეობისთვის განკუთვნილი გასაჩივრების მექანიზმის დაარსება და შენარჩუნება, რომელიც SEP-ში უნდა იყოს აღწერილი.</p>	<p>დაინტერესებულ მხარეთა ეფექტიანად ჩართვის უზრუნველყოფა და მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება</p>	PR10	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	წინასწარი საქმიანობიდან დაწყებული, უნდა გაგრძელდეს მშენებლობის და ექსპლუატაციის მთლიანი პერიოდის განმავლობაში.	<p>გასაჩივრების მექანიზმი შემუშავებულია, დანერგილია და ზემოქმედებული მოსახლეობა ინფორმირებულია მის შესახებ. საჩივრების ჟურნალი იწარმოება და საჩივრების მართვა დროულად ხდება.</p>
10.4	<p><b>გარემოსდაცვითი ინფორმაციის გასაჯაროება</b>  იმ გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გასაჯაროება, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანია და მათზე წვდომის შენარჩუნება. ბსგზშ-ის საჯარო პაკეტი და სხვა სათანადო დოკუმენტები ხელმისაწვდომია კომპანიისა და კრედიტორების ვებგვერდზე.</p>	<p>დაინტერესებულ მხარეთა ეფექტიანად ჩართვის უზრუნველყოფა და მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება</p>	საუკეთესო გამოცდილება	სს „ვინდ ფაუერი“-ს E&S მენეჯერი	ექსპლუატაციის პერიოდში	<p>საზოგადოებას მიეწოდა გარემოსდაცვითი და სოციალური ინფორმაცია.</p>